

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სერჯო მატარელა ეწვია.

უნივერსიტეტში პრეზიდენტმა გამოფენა „საქართველო-იტალია: მეგობრობის ისტორია“ დაათვალიერა, სადაც წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერები და ეროვნული არქივის საინფორმაციო ბანერები. ასევე გაიმართა შეხვედრა თსუ-ს რექტორთან, გიორგი შარვაშიძესთან, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრ, მიხეილ ბატიაშვილთან, იტალიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, ანტონიო ენრიკო ბარტოლისთან და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან.